



ENPARD: სოფლისა და სოფლის  
მეურნეობის განვითარების  
პროგრამა დაფინანსებულია  
ევროკავშირის მიერ



# ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის შესაძლებლობათა შეფასება

2015 წლის სექტემბერი

"წინამდებარე პუბლიკაცია გამოცემულია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანი გაჭირვებაში" და "ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა", პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია."



## შინაარსი

მეთოდოლოგია .....	4
გამოკითხული ოჯახების ზოგადი დახასიათება .....	5
ასაკი და განათლების დონე .....	5
მიწის საკუთრება .....	6
შინაური ცხოველები .....	6
ოჯახების გენდერული შემადგენლობა და ახალგაზრდები .....	7
შემოსავლის წყაროები .....	7
სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლების წილი მთლიან შემოსავლებში .....	8
განათლების დონესა და შემოსავლის წყაროებს შორის კავშირი .....	8
სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები და სასოფლო-სამეურნეო თვითუზრუნველყოფა .....	9
ველურად მზარდი პროდუქტების შეგროვება (კენკრა, ბალახები და თივა) .....	10
რეგიონში ხელმისაწვდომი სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალებები, სერვისები და ინფრასტრუქტურა ...	10
ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის ბაზარი .....	10
შემაფერხებელი ფაქტორები .....	11
პერსპექტიული ქვესექტორები და საჭირო რესურსები .....	12
მუნიციპალიტეტში მიმდინარე ეკონომიკური და სასოფლო-სამეურნეო პროექტები .....	12
დასკვნები და რეკომენდაციები .....	13
პროდუქტიულობა და ხარისხი .....	13
წარმოების საშუალებები და საკონსულტაციო მომსახურება .....	14
ადგილობრივი ხელოსუფლების როლი .....	14



## მეთოდოლოგია

წინამდებარე გამოკითხვა ჩატარდა 2015 წლის სექტემბერში. რიცხობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით სოფლის სწრაფი შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

გამოკითხვის მიზნები იყო ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მთავარი სასოფლო სამეურნეო სექტორების იდენტიფიცირება, ადგილობრივი მოსახლეობის მიწისა და საწარმოო საშუალებების ფლობის და სოფლის მეურნეობაში ჩართულობის, სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის ზოგადი მდგომარეობის გარკვევა. ასევე დანახარჯების და სერვისების, გასაღების ძირითადი ბაზრებისა და ტურიზმზე ორიენტირებული ადგილობრივი ბიზნესების დაინტერესების დადგენა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციით.

რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 6 საკრებულოს 22 სოფელში. სულ გამოკითხული იყო 153 რესპოდენტი (სოფლებისა და გამოკითხული ადგილობრივი მაცხოვრებლების სოფლების მიხედვით დაჯგუფებული სია წარმოდგენილია დანართი 1-ის სახით). კითხვარში გამოყენებულია ღია და დახურული კითხვების კომბინაცია, მაგალითად: კითხვები, რომლებიც ეხება წარმოებული სოფლის მეურნეობის მთავარ პროდუქტებს, განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს. სოფლის მეურნეობის ცალკეული მიმართულებების განვითარებისთვის საჭირო რესურსების საკითხი ღია დარჩა და შემდგომ მონაცემები შეჯამდა თითოეული პასუხის მიხედვით. კვლევის ამ ნაწილის მიზანი იყო მიწის საკუთრებისა და სასოფლო-სამეურნეო რესურსების ფლობის, ასევე სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის, სერვისებისა და ბაზრების ხელმისაწვდომობის საკითხების გარკვევა; სქესისა და ასაკის მიხედვით შრომის განაწილების, საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სექტორების მიხედვით შემოსავლების განაწილების, მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების განსაზღვრა, და ასევე ამ ფაქტორების დამლევსთვის აუცილებელი ფაქტორები.

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმი არის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, წინამდებარე კვლევის მიზანი არ გამხდარა ტურიზმის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა. მიმდინარე პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვა კვლევა, რომელიც ამ სფეროს შეისწავლის სეზონურობის გახანგრძლივების პერსპექტივისა და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ტურისტული სერვისები, განსაკუთრებით რესტორნები, საოჯახო სასტუმროები და სასურსათო მაღაზიები შესაძლებელია გახდნენ ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიზიდველი მომხმარებლები, კვლევა ნაწილობრივ ფოკუსირებული იყო იმაზე, თუ როგორია თანამშრომლობა სექტორებს შორის და ამ თანამშრომლობის შემაფერხებელ ფაქტორებზე.

ნახევრად სტრუქტურული გამოკითხვები ჩატარდა ადგილობრივი საკრებულოს, გამგეობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალურ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს. გამოკითხვის მიზანი იყო ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის



განვითარების პროცესში ამ ინსტიტუციების როლის ღრმად გარკვევა. ასევე მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაციის დადასტურება და გადამოწმება.


მსგავსი მიდგომა, ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები, გამოყენებული იყო ადგილობრივი საოჯახო სასტუმროების, რესტორნების, მაღაზიების მიმართ. გამოკითხვის მიზანი იყო მათი ადგილობრივი პროდუქციით დაინტერესების და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ადგილზე რეალიზებასთან დაკავშირებული ბარიერების გამოვლენა. გამოკითხული იყო 7 ბიზნეს სუბიექტი.

### გამოკითხული ოჯახების ძირითადი მახასიათებლები

#### ასაკი და განათლების დონე

153 ოჯახი 557 წევრის შემადგენლობით, მათ შორის 245 ქალი და 312 კაცი. ოჯახის წევრთა საშუალო ასაკი შეადგენს 42. გამოკითხულ ოჯახთა ასაკობრივი შემადგენლობა წარმოდგენილია ცხრილი #1-ით.


**გრაფიკი 1 - გამოკითხულ ოჯახთა ასაკობრივი შემადგენლობა**



განათლების საკითხებში ჩაღრმავებამ გამოავლინა, რომ გამოკითხული ოჯახების ზრდასრული შემადგენლობის დაახლოებით 40%-ს აქვს უმაღლესი განათლება, 35%-ს საშუალო განათლება. უმაღლესი განათლების მქონეთა პროცენტული შემადგენლობა უფრო მაღალია სტეფანწმინდის მაცხოვრებელთა შორის: თითქმის 50% მუნიციპალიტეტის საერთო 40%-თან შედარებით.



**გრაფიკი 2 - გამოკითხულ ოჯახთა განათლების დონე**



თითქმის ყველა მცირეწლოვანი იღებს განათლებას ამა თუ იმ სახით და ზრდასრულთა 4% (უმრავლესობა 19-24 წლის) ამჟამად იღებს უმაღლეს განათლებას.


მიწის საკუთრება

ოჯახების უმეტესობა ფლობს სახნავს ან სათიბს ან ორივეს. მხოლოდ 3% არ ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს.

თუმცა, როდესაც საკითხი ეხება ნაკვეთის სიდიდეს, მონაცემების თანახმად სახნავი მიწების მფლობელი ოჯახების 90% და სათიბების მფლობელი ოჯახების 64% ფლობს მაქსიმუმ ნახევარ ჰექტარს თითოეული. გამოკითხული ოჯახების მხოლოდ 14% ფლობს ერთ ჰექტარზე მეტი ფართის სახნავ ან სათიბ ფართებს ან ორივეს.



**გრაფიკი 3 - საკუთრების საკითხები გამოკითხულ ოჯახებში**



არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი სტატისტიკური განსხვავება მიწის ფლობის მაჩვენებლებში.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ასევე ადასტურებს სახნავი და სათიბი მიწების ნაკლებობას ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, რომლის თანახმადაც სახნავი და სათიბი მიწების ფართი შეადგენს შესაბამისად 62,34 ჰა და 3274 ჰა-ს. სახნავი მიწები მთლიანად კერძო საკუთრებაშია, მაშინ როდესაც სანდო სტატისტიკური მონაცემები სათიბების ფლობისა და მდებარეობების შესახებ არ არსებობს.

**შინაური ცხოველები**

რაოდენობრივად ყველაზე მეტად გავრცელებული შინაური ცხოველია ცხვარი, რაც ჩვეულებრივია ისეთი მაღალმთიანი რეგიონისთვის, როგორცაა ყაზბეგი. გამოკითხული ოჯახების თითქმის 20% ჰყავს ცხვარი, რომელთა თითქმის ნახევარი ფლობს 10-ზე მეტ ცხოველს და 3%-ზე ნაკლები - 100 ცხვარზე მეტს. მუნიციპალიტეტში რაოდენობრივად უფრო ნაკლებია საქონელი, მაგრამ მსხვილფეხა პირუტყვს ფლობს გამოკითხული ოჯახების თითქმის 72%, რომელთა ნახევარზე მეტს ჰყავს სამი ან ნაკლები და 110 ოჯახიდან, რომელთაც ჰყავს მსხვილფეხა საქონელი, მხოლოდ 6 ოჯახს ჰყავს 20 და მეტი პირუტყვი.





ოჯახების 14%-ზე ნაკლებს ჰყავს შინაური ფრინველი-ძირითადად ქათამი და მათ ნახევარზე მეტს -10 ან ნაკლები. გამოკითხული ოჯახებიდან არცერთს არ ჰყავს 40 ფრინველზე მეტი. პროდუქცია თითქმის მთლიანად ოჯახების საკუთარი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. გამოკითხული ოჯახების მცირე რაოდენობა-14%-ზე ნაკლები-მისდევს მეფუტკრეობას.

მათი უმეტესობა 20 სკის ფარგლებში.

გენდერი და ახალგაზრდობა

შრომის განაწილებას სოფლის მეურნეობის საქმიანობაში აქვს შემდეგი სახე:

კაცების როლი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მძიმე ფიზიკურ შრომასთან ასოცირდება: საკვების დამზადება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოსავლის გადატანა-დასაწყობება, მაფუტკრეობაც განეკუთვნება ექსკლუზიურად „კაცურ“ საქმიანობებს ქალების შრომა უფრო მეტად რუტინულ, ყოველდღიურ საქმიანობებთანაა დაკავშირებული: წველა და რძის გადამუშავება, შინაური ცხოველების ყოველდღიური მოვლა, ბოსტნეული კულტურების მოვლა. ისეთი საქმიანობები, როგორცაა თესვა, მოსავლის აღება და ცხოველებზე ზრუნვა, ორივეზე არის გადანაწილებული, თუმცა უფრო მეტად კაცებზე.

ახალგაზრდების ჩართულობა (12-დან 25 წლამდე) შეიმჩნევა მხოლოდ ისეთ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში, როდესაც ტრადიციულად ხდება მთელი ოჯახის რესურსების გამოყენება.


გამოკითხული ოჯახების მხოლოდ 37% აცხადებს, რომ მათი ახალგაზრდა წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში.

შემოსავლის წყაროები

რაც შეეხება შემოსავლების ძირითად წყაროებს, გამოკითხული ოჯახების 27% დამოკიდებულია შემოსავლის მხოლოდ ერთ წყაროზე. მათი უმეტესობისთვის ეს არის სოფლის მეურნეობა (76%), ზოგ შემთხვევაში - სოციალური დახმარება ან პენსია (19%) ან ხელფასი (5%). ოჯახების 52%-ს გააჩნია შემოსავლის ორი წყარო, რომელთა შორის ერთი ყველა შემთხვევაში არის სოფლის მეურნეობა. ბიზნესი არის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად გავრცელებული შემოსავლის წყარო. გამოკითხული ოჯახების 14%-ზე ნაკლებისთვის ბიზნესი წარმოადგენს შემოსავლის წყაროს და მათგან 10%-ზე ნაკლებისთვის ბიზნესი შემოსავლის ერთადერთი წყაროა. ყველა მსგავს შემთხვევაში ბიზნეს აქტივობებთან ერთად ოჯახები საოფლის მეურნეობის საქმიანობაშიც არიან ჩართულნი (ყველა ოჯახი, რომელმაც დააფიქსირა ბიზნესიდან შემოსავალი, ასევე აფიქსირებენ შემოსავალს სოფლის მეურნეობიდან).



**გრაფიკი 4 - გამოკითხულ ოჯახთა შემოსავლის წყაროების რაოდენობა**



: გამოკითხულ ოჯახთა შემოსავლის	
სოფლის მეურნეობა	
დახმარება/პენსია	
ხელფასი	
ბიზნესი	
სხვა	
გზავნილები	

ცხრილი #1 წარმოგვიდგენს გამოკითხული ოჯახების შემოსავლების წყაროების პროცენტულ მაჩვენებლებს რიგითობის მიხედვით. ორ მესამედზე მეტს რაიმე ფორმით აქვს შემოსავლები სოფლის





ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



მეურნეობიდან. ოჯახების ნახევარი დამოკიდებულია სოციალურ დახმარებას ან პენსიაზე. დასაქმებულები (ძირითადად საჯარო სამსახურში ან ტურიზმის სფეროში) შეადგენენ გამოკითხული ოჯახების ერთ მესამედს.

სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის წილი დასაქმებულთა შორის

ადგილობრივი მთავრობის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან საუბრისას აღმოჩნდა, რომ სოფლის მეურნეობის საქმიანობაში ჩართულია ყაზბეგის დასაქმებულთა ორი მესამედი. ეს მიდგომა ზოგადად ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ სოფლის მეურნეობა ძირითადად ოჯახების საკუთარი მოხმარებაზე ან ძალიან მცირე რაოდენობით შემოსავლის მიღებაზეა ორიენტირებული. გუდაური განსაკუთრებითაა აღნიშნული, როგორც პროდუქციის ნაკლებად მწარმოებელი თემი, რომელიც ძირითადად ტურისტულ სერვისებზეა ორიენტირებული.

განათლების დონესა და შემოსავლებს შორის კავშირი

გამოკითხული ოჯახების თითქმის 78%, რომელთაც დააფიქსირეს, რომ იღებენ ხელფასს რომელიმე სფეროში მუშაობით, მინიმუმ ერთი წევრს მაინც აქვს უმაღლესი განათლება. იმ დროს, როდესაც 23%-ზე ნაკლებ ოჯახებში, სადაც ერთ წევრსაც კი არა აქვს უმაღლესი განათლება, დააფიქსირეს, რომ აქვთ შემოსავალი საჯარო ან კერძო სამსახურიდან.

გამოკითხული ოჯახები, სადაც არის ყველაზე მცირე ერთი წევრი უმაღლესი განათლებით, უფრო მეტად აფიქსირებენ შემოსავალს ბიზნესიდან. იმ ოჯახების 3/4-ში, სადაც ბიზნესიდან შემოსავლები დაფიქსირდა, ერთი წევრი მაინც არის უმაღლესი განათლებით. ამასთან ერთად ასეთი ოჯახების 2/3-ში ზრდასრულ წევრებს აქვს უმაღლესი განათლება ან სწავლობენ უმაღლეს სასწავლებელში.

ეს თანაფარდობა გარკვეულწილად იცვლება, როდესაც საქმე ეხება სოფლის მეურნეობას, მაგალითად: სოფლის მეურნეობა არის შემოსავლის წყარო ისეთი ოჯახების 74%-ისთვის, სადაც არის სულ მცირე ერთი წევრი უმაღლესი განათლებით და 61% ისეთი ოჯახებისა, სადაც არც ერთ წევრს არ აქვს უმაღლესი განათლება.

შემოსავლები სოფლის მეურნეობიდან და სასოფლო-სამეურნეო თვითუზრუნველყოფა

იმ ოჯახებში, რომლებსაც შემოსავალი აქვთ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან, კარტოფილი არის ყველაზე მეტად გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი (რაც არაა გასაკვირი ყაზბეგის კლიმატის გათვალისწინებით). შემდგომი პოზიციები აქვს საქონლის რძის პროდუქტებს (ძირითადად ყველი და მაწონი) და ხორცს. კვლევაში წარმოდგენილია ასევე მონაცემები იმ პროდუქტების შესახებ, რომლების ოჯახებს მოყავს საკუთარი მოხმარებისთვის.




ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



2: შემოსავლის მთავარი წყაროები სოფლის მეურნეობიდან გამოკითხულ ოჯახებში.	
კარტოფილი	
ძროხის რძე	
საქონლის ხორცი	
მეფუტკრეობა	
ცხვრის რძე	
თივის რეალიზაცია	
სათბურები	

თუმცა, როდესაც ვაძარებთ გამოკითხულთა შემოსავლებს, ვხედავთ, რომ კარტოფილის, როგორც ყველაზე მეტად გავრცელებული კულტურის, შემოსავლის წილი მხოლოდ 12%-ია. მესაქონლეობიდან (რძის პროდუქტები და ხორცი) მიღებული შემოსავლები შეადგენს გამოკითხული ოჯახების სოფლის მეურნეობიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების 62%-ს. ეს დადასტურებულია ადგილობრივი მთავრობის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროსაც, რომელთაც მეკარტოფილეობის შემდეგ ასევე დაასახელეს მეცხვარეობა და მსხვილფეხა მესაქონლეობა და მეფუტკრეობა, როგორც მუნიციპალიტეტის წამყვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.



მიუხედავად იმისა, რომ სათბურების მონაცემები შეტანილია #5 გრაფიკში, ეს საკითხი ნაკლებად, მხოლოდ ორ შემთხვევაში იყო ნახსენები, როგორც სასოფლო-სამეურნეო აქტივობა და ხასიათდება დაბალი რენტაბელობით (500 და 1500 ლარი წელიწადში).

ადგილობრივი მთავრობის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად მივიღეთ ინფორმაცია, რომ მოთხოვნა კარტოფილზე 90%-ით არის დაკმაყოფილებული ადგილობრივი პროდუქციით, მაგრამ სხვა პროდუქტები, ისეთები როგორცაა ხორცი, რძის ნაწარმი, ბოსტნეული და თაფლი, 50%-ის ფარგლებში კმაყოფილდება.

ველურად მოსული პროდუქტების (კენკროვანები, ბალახები და თივა) შეგროვება

კვლევის ცალკე ნაწილი დაეთმო ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ველურად მოსული მცენარეების შეგროვების საკითხს, მათი ძირითადი ტიპები და რაოდენობები, ასევე შეგროვების მიზანი. კვლევამ გამოავლინა, რომ გამოკითხულ ოჯახთა დაახლოებით ორი მესამედი აგროვებს ველურად მოსულ მცენარეებს. მათი უმრავლესობა ამზადებს თივას. შედარებით ნაკლებად - ბალახებს ჩაის ნაყენებისთვის, გარეულ მოცვს და ქაცვს. თითოეული გამოკითხული ოჯახი საშუალოდ ამზადებს საშუალოდ 222 კგ



ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



თივას, 73 კგ ქაცვს, 10 კგ გარეულ მოცვსა და ჟოლოს. ხდება ასევე კვლიავის (ძირა), ასკილის, ბალახეული ჩაის, კოწახურის შეგროვება, მაგრამ მცირე რაოდენობით (2-დან 5 კგ-მდე ოჯახი).

იმ გამოკითხული ოჯახების დაახლოებით ორი მესამედი, რომლებიც ეწევიან ველურად მოსული მცენარეების შეგროვებას, აცხადებენ, რომ კრეფის დროს ითვალისწინებენ გარკვეულ წესებსა და სტანდარტებს, ძირითადად ტრადიციულს. დაახლოებით 20% არ აზიანებს კრეფის დროს მცენარეებს, ხოლო 20% არ არის ინფორმირებული ველურად მოსული პროდუქტების კრეფის რაიმე თანამედროვე სტანდარტების შესახებ. ძალიან მცირე რაოდენობა (დაახლოებით 6%) არ თვლის კრეფის სტანდარტების და წესების დაცვას საჭიროდ. ადგილობრივი მთავრობის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა მოსახლეობაში ველურად მოსული პროდუქტების კრეფის სტანდარტების ცოდნისა და დაცვის მიმართ ნაკლები ინტერესი და ცოდნა.

### **მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო საშუალებები, სერვისები და ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა**

გამოკითხულ ოჯახთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ვეტერინარული სერვისი და ნატურალური სასუქი (ნაკელი) ზოგადად ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტში. გამოკითხულთა ნახევარი ასახელებს სათესლე მასალას და დაახლოებით ნახევარი-სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას ადგილზე ხელმისაწვდომ საწარმოო საშუალებათა შორის. თუმცა მდგომარეობა იცვლება, როდესაც საქმე ეხება მინერალურ სასუქებს, მცენარეთა დაცვის საშუალებებს, ვეტერინარულ მედიკამენტებს და სასოფლო-სამეურნეო კონსულტაციებს, რომელთა ადგილზე ძნელად ხელმისაწვდომია.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, თითქმის ყველა ოჯახმა დააფიქსირა, რომ მათ აქვს ხელმისაწვდომობა ბუნებრივ აირთან, ელექტროენერჯისთან და ნაკვეთებამდე მისასვლელ გზებზე. გამოკითხულთა მხოლოდ 10%-მა დაასახელა სარწყავი სისტემა სოფლის მეურნეობის საჭიროებად. რესპოდენტებმა ერთხმად დაასახელეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემგროვებელი პუნქტებისა და გადამამუშავებელი საწარმოების ნაკლებობა, როგორც პროდუქციის ზრდის შემაფერხებელი გარემოება. რესპოდენტების უმრავლესობამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აგროპროდუქციის შემგროვებელი და გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობა შემაფერხებელი ფაქტორია პროდუქციის გაყიდვების გაზრდისათვის.

### **ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის ბაზარი**

გამოკითხულ ოჯახთა ნახევარზე ოდნავ მეტს გააჩნია მათ მიერ მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზების საშუალება. მათი თითქმის 70% პროდუქციას ყიდის პირდაპირ საკუთარი



სახლებიდან, ძირითადად მეზობლებზე. დაახლოებით 36% ყიდის სტეფანწმინდაში და ძალიან მცირე რაოდენობა ახერხებს, რომ გაყიდოს თბილისში ან სხვა რეგიონებში.

გამოკითხულ ოჯახთა დაახლოებით 22% აცხადებს, რომ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზებას ახდენს ადგილობრივ სასტუმროებზე, გესტჰაუსებსა და რესტორნებზე.

ძირითადი მიზეზები, რის გამოც ადგილობრივი მწარმოებლები ვერ აწვდიან საკუთარ პროდუქციას ადგილობრივ ტურისტულ სერვის პროვაიდერებს, არის: არასაკმარისი რაოდენობა (უმრავლესობა აწარმოებს საკუთარი მოხმარებისთვის)-ტურისტული სეზონის (ზაფხულშიც კი) განმავლობაში სტაბილური მიწოდების გარანტირებული უზრუნველყოფის შეუძლებლობა და ასევე სამომხმარებლო სტანდარტებისადმი პროდუქციის ხარისხის შეუსაბამობა. იგივე მიზეზები დასახელდა ბიზნესის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროსაც, რომელთაც დამატებით დაასახელეს დოკუმენტაციით უზრუნველყოფის შეუძლებლობა (ადგილობრივ მწარმოებელთა უმრავლესობა ვერ აწვდის ფინანსურ დოკუმენტაციას). ეს მოსაზრებები კარგად წარმოაჩენს ორივე მხრიდან სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებელი გარემოებების ძირითადი მიზეზების ნათლად აღქმას.

ეს სურათი დადასტურებულია ადგილობრივ მთავრობასა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროსაც, რომელთაც ასევე განაცხადეს, რომ მუნიციპალიტეტში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის უმეტესი წილი (კარტოფილი, რძის პროდუქტები, ხორცი და თაფლი) იწარმოება საკუთარი მოხმარებისთვის ან იყიდება ადგილზე (ძირითადად მეზობლებზე). ყაზბეგში არ არსებობს სასაკლაო, რის გამოც ადგილობრივ ხორცის მწარმოებლებს უწევთ საქონლის ცოცხლად მიყიდვა დაბალ ფასად სხვა რეგიონებიდან ჩამოსულ გადამყიდველებზე.

რესტორნების, სასტუმროების/გესტჰაუსების და მაღაზიების სტეფანწმინდაში გამოკითხულმა შვიდმა წარმომადგენელმა, დაასახელა ის ადგილობრივი პროდუქტები, რომლებსაც ისინი მოიხმარენ და მიზეზები, თუ რატომ აგრძელებენ ძირითადად საქართველოს სხვა რეგიონებიდან შემოტანილი პროდუქტების მოხმარებას. მაგალითად სასტუმრო „რუმსი“ (მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი დამსაქმებელი და გადამხდელი) მზადაა შეიძინოს ზოგიერთი ადგილობრივი პროდუქტი, მაგალითად: ყველი, თევზი, თაფლი და სალათის ფურცლები. ხორცი და ყველი ასევე წარმოადგენს გამოკითხული ადგილობრივი ბიზნესების მიერ ყველაზე მოთხოვნად ადგილობრივ პროდუქტებს, თუმცა მათ მიერ მოთხოვნილი რაოდენობები საკმაოდ მცირეა. გამოკითხული შვიდი ბიზნესიდან ოთხი მოიხმარს 10%-ზე ნაკლებ ადგილობრივ საკვებ პროდუქტებს. ორმა დააფიქსირა 50-დან 80%-მდე ადგილობრივი პროდუქტების მოხმარება, ხოლო დანარჩენმა - 30-50%.





ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



ზოგადად ადგილობრივ ბიზნესებს აქვს კარგი წარმოდგენა ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გემოვნურ თვისებებსა და ეკოლოგიურ სისუფთავეზე. კითხვაზე, თუ რომელი პროდუქტების წარმოება იქნებოდა ადგილზე უფრო მეტად საინტერესო და ეფექტური, ბიზნესების უმეტესობამ დაასახელა ბოსტნეული კულტურები (განსაკუთრებით კიტრი და პომიდორი), კენკროვანები, ადგილობრივი ბალახები, ხორცი და ყველი. საინტერესოა, რომ არც ერთმა მათთაგანმა არ გამოხატა ბიზნეს ინტერესი თაფლის მიმართ.

### შემაფერხებელი ფაქტორები

გამოკითხული ოჯახების 92%-მა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად დაასახელა ფინანსებთან ხელმიუწვდომლობა. თითქმის ნახევარმა-ცოდნის ნაკლებობა (როგორც ტექნიკური ხასიათის, ასევე ბიზნესის მართვის) და დაახლოებით 17-19%-მა შესაბამისად დაასახელა სარწყავი სისტემა და გზების მდგომარეობა. იმ დროს, როდესაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოცხადებული აქვს შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამა, ყაზბეგის ფერმერებს დაბალი ხელმისაწვდომობა აქვთ ამ სიკეთის მიმართ, მუნიციპალიტეტის მოშორებით მდებარეობის, მიწის რეგისტრაციის პრობლემების, თანამონაწილეობის მოთხოვნებისა და მცირემიწიანობის გამო.

ხარისხიან სათესლე მასალებზე ხელმისაწვდომობა არ იყო სათანადოდ აღნიშნული გამოკითხულ ოჯახთა უმეტეს შემთხვევაში. თუმცა სამუშაო ჯგუფმა შენიშნა, რომ კარტოფილის სათესლე მასალის შემთხვევაში, რომელიც დასახელებულია, როგორც ადვილად ხელმისაწვდომ სათესლე მასალა, არის ძირითადად შინაურ პირობებში მოყვანილი ყოველგვარი ხარისხის კონტროლისა და სერტიფიცირების გარეშე. მხოლოდ რამდენიმე ფერმერს შემოაქვს მაღალი ხარისხის სათესლე მასალა ძირითადად სამცხე-ჯავახეთიდან.

რაც შეეხება ძროხის რძეს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტად გაყიდვადი რძის პროდუქტებია ყველი და მაწონი. ეს პროდუქტები იწარმოება ტრადიციული წესით, რომლის დროსაც არ ხდება კანონმდებლობით დადგენილი სურსათის უვნებლობის სტანდარტების დაცვა, რომლების მოქმედებს 2015 წლიდან. შედეგად ეს პროდუქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის. ის ბიზნესებიც კი, რომლების მოიხმარდნენ ასეთი წესით დამზადებულ პროდუქციას 2015 წლამდე, ვეღარ გააგრძელებენ ამას მომავალში კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების შიშით.

### საინტერესო (პერსპექტიული) ქვე-სექტორები და საჭირო რესურსები

გამოკითხული ოჯახების თითქმის 3/4-მა დააფიქსირა, რომ დაინტერესებულნი არიან მსხვილფეხა რქოსან პირუტყვთან დაკავშირებული ბიზნესების განვითარებით - მეხორცული, მერძეული ან კომბინირებული





ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



მესაქონლეობა. ამ მიმართულებით დაინტერესება ძირითადად იმ ოჯახებმა გამოხატეს, რომელთაც უკვე ყავს საქონელი და ხედავენ ამ მიმართულების განვითარების პოტენციალს.

დაახლოებით 27%-მა განვითარების პოტენციალის მქონედ დააფიქსირა მეფუტკრეობა და 18%-მა ასეთად დაასახელა მეკარტოფილეობა. არსებობს ცალკეული შემთხვევები მეკალმახეობით, მეხილეობით, მებოსტნეობით და ველურად მოსული მცენარეების წარმოება-გადამუშავებით დაინტერესებისა. კონკრეტულად რაც შეეხება სალათის ფურცლებისა და მარწყვის მოყვანას, 2014 წელს USAID-ს მიერ დაფინანსებული NEO-ს მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში შეიქმნა რამდენიმე სადემონსტრაციო ნაკვეთი, რითაც მოხდა ფერმერების წახალისება ამ კულტურების მომავალში განვითარებისთვის.

რესპოდენტთა დაახლოებით 85%-მა განაცხადა, რომ ტექნიკა და იარაღები არის ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროება სოფლის მეურნეობის აღნიშნული ქვესექტორების განვითარებისთვის. თითქმის ნახევარმა დააფიქსირა პროდუქტიული საქონლისა და ცხვრის ჯიშების საჭიროება დარგების განვითარებისთვის.

### **მუნიციპალიტეტში მიმდინარე ეკონომიკური და სოფლის მეურნეობის პროექტები**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში განხორციელდა ან მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდამჭერი შემდეგი პროექტები:

SPPA-Georgia (KfW, WWF), დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ხდება სათემო განვითარების და ინდივიდუალური ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ყაზბეგის დაცული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში; პროექტი „აწარმოე საქართველოში“. პროექტის საგრანტო კონკურსის ფარგლებში ხორციელდება ინდივიდუალური და ჯგუფური ეკონომიკური განვითარების პროექტები (საქართველოს სკაუტთა მოძრაობის ორგანიზაციის თანამონაწილეობით); შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამა, რომელიც ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობით.

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

#### პროდუქტიულობა და ხარისხი

მაშინ, როდესაც ყაზბეგის მაცხოვრებელთა უდიდესი უმრავლესობა ამა თუ იმ სახით ჩართულია სოფლის მეურნეობაში, წარმოება ხასიათდება მცირემასშტაბიანობით, დაბალპროდუქტიული საშუალებებითა და არასათანადო ტექნიკური კონსულტაციით. ოჯახების დიდი უმრავლესობა აღიქვამს



ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



სოფლის მეურნეობას უფრო მეორეხარისხოვან, ძირითადად საკუთარ მოხმარებაზე ორიენტირებულ საქმიანობად, ვიდრე ბიზნეს აქტივობად. ამ მიდგომის გამო ადგილობრივი პროდუქტები ვერ ხდება კონკურენტუნარიანი ადგილობრივ ბაზარზეც კი.

ხორცისა და ყველის გამოკლებით, შეუსაბამობა იგრძნობა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ადგილობრივი ბიზნესის მოთხოვნასა და ადგილობრივი ფერმერების დაინტერესება- შესაძლებლობას შორის მიაწოდონ ეს პროდუქტები. მიუხედავად იმისა, რომ ფერმერთა უმეტესობა აღიარებს იმ ფაქტს, რომ მათ მიერ წარმოებული პროდუქტები არ აკმაყოფილებს ადგილობრივი ბიზნესების მიერ მოთხოვნილ ხარისხობრივ სტანდარტებს, მხოლოდ რამდენიმე მათგანს აქვს ამ მდგომარეობის შესაცვლელად გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები.

მუნიციპალიტეტში არსებობს ბოსტნეული კულტურების, (განსაკუთრებით სათბურებში ზამთრის სეზონში, ტურისტული ბიზნესებისთვის მიწოდების მიზნით ) ხორცის და ყველის წარმოების გაზრდის უდიდესი პოტენციალი. თუმცა სურსათის უვნებლობის სტანდარტების მოთხოვნები და საკითხები გათვალისწინებული უნდა იყოს ხორცისა და რძის წარმოებისას.

რაც შეეხება ხორცს, ადგილზე სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი სასაკლავო არარსებობა აფერხებს ამ სექტორის განვითარებას. სახორცე პირუტყვი გადის მუნიციპალიტეტიდან, ხოლო მუნიციპალიტეტში შემოდის გაყინული ხორცი, რაც ხდის მას კონკურენტუნაროდ. ბიზნესები ლეგალურად ვერ იძენენ ისეთ ხორცს, რომელიც არ არის დამუშავებული სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად. ამ დროს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სასაკლავო აღჭურვილობა ძალიან ძვირადღირებულია და სავარაუდოდ რთული იქნება ENPARD-ის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში მისი დაფინანსება.

2015 წელს მიღებული საკვების უსაფრთხოების სტანდარტები სავარაუდოდ არ იქონიებს დიდ გავლენას რძის მწარმოებლებზე, რადგანაც ისინი მიღებულია ტურისტული და სოფლის მეურნეობის სეზონის ბოლოს. თუმცა სტანდარტების ეფექტი შესაძლებელია უფრო მეტად ვიგრძნოთ 2016 წელს, როდესაც შემცირდება ასეთი პროდუქტების არაფორმალური რეალიზების საშუალება მეზობლებზე. ვინაიდან რძის პროდუქტების ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობიდან მთლიან შემოსავალში საკმაოდ დიდია, გარკვეული ღონისძიებები უნდა გატარდეს ამ სირთულეების დასაძლევად. მაგალითად გაიზარდოს ახალ სტანდარტებთან დაკავშირებით მწარმოებელთა ინფორმირებულობა და მოხდეს ისეთი პროექტების მხარდაჭერა, რომლების მეშვეობითაც მოხდება წარმოების თანამედროვე მიდგომებსა და მოთხოვნის წახალისება.



ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მდებარეობისა და მისი მაღალმთიანობის გათვალისწინებით აქ ბრწყინვალე შესაძლებლობა არსებობს ველურად მოსული ბალახებისა და კენკროვანების შეგროვებისა და გადამუშავებისთვის, რაზედაც დიდი მოთხოვნაა ადგილზე და მთლიანად საქართველოში. ეს ის პროდუქტებია, რომლებიც შესაძლებელია გაიყიდოს როგორც ცოცხლად, ასევე გამშრალ და ჯემების სახითაც. მაშინ, როდესაც კვლევამ გვაჩვენა, რომ გამოკითხულ ოჯახთა დაახლოებით 2/3 აგროვებს ველურად მოსულ მცენარეებს, შემაშფოთებელია ის, რომ მხოლოდ რამდენიმე მათგანს აქვს წარმოდგენა შეგროვების თანამედროვე ტექნიკასა და სტანდარტებზე. თუკი ამ პროდუქტებზე მოთხოვნა ზრდას განაგრძობს და ისინი გახდება უფრო მიმზიდველი, არსებობს გარემოს დაზიანების რისკი, თუ არ გაიზრდება მომპოვებელთა ინფორმირებულობა და არ განმტკიცდება კონტროლის მექანიზმები ადგილობრივ დონეზე.

წარმოების საშუალებები და საკონსულტაციო მომსახურება

იმისათვის, რომ სექტორი გახდეს კონკურენტუნარიანი, საჭიროა გაუმჯობესდეს წარმოების საშუალებების, იარაღებისა და მექანიზმების ხარისხი. პროექტის საგრანტო კომპონენტის ფარგლებში, სხვა საქმიანობებთან ერთად, უნდა მოხდეს ხარისხიანი სათესლე მასალების, სასუქების და პესტიციდების მომწოდებლების მხარდაჭერა, რომლებიც აპირებენ საკუთარი საქმიანობის სტაბილურ დაწყებას ან განვითარებას მუნიციპალიტეტში. ამ მომწოდებლების მიერ შექმნილი სადემონსტრაციო ნაკვეთებმა შესაძლებელია ნდობა გააჩინონ ფერმერებში ამ წარმოების საშუალებების მიმართ.

საქართველოს სხვა რეგიონებსა და უცხოეთში PIN-ის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია შეიძლება გახდეს ძალზედ ეფექტური გზა ტექნიკის ერთობლივი ძალებით შექმნისა და გამოყენებისთვის. როდესაც ტექნიკა და აღჭურვილობა ძალზედ ძვირია ინდივიდუალური მცირემიწიანი ფერმერებისთვის, ჯგუფებისთვის ეს უფრო ხელმისაწვდომია.

ადგილობრივი ხელისუფლების როლი

დღეისათვის მცირე ოფიციალური ხელმისაწვდომი ინფორმაცია არსებობს იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანია ჩართული სოფლის მეურნეობაში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, რა არის მთავარი პროდუქცია და რა რაოდენობებით, რა სპეციალური ცოდნასა და უნარ-ჩვევებზეა მოთხოვნა იმისათვის, რომ განვითარდეს ქვესექტორები. წარმოების საშუალებების რომელი მომწოდებლები ოპერირებენ და რას გვთავაზობენ ისინი. მიმდინარე პროექტს შეუძლია განავითაროს ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების შესაძლებლობები შეაგროვონ და დაამუშავონ ასეთი მონაცემები და აქტიურად იმუშაონ ფერმერებისთვის საკვების წარმოების, გარემოს დაცვის სტანდარტების, სადაზღვეო სისტემების დანერგვაზე.



ENPARD: სოფლისა და სოფლის  
მეურნეობის განვითარების  
პროგრამა დაფინანსებულია  
ევროკავშირის მიერ



სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავებული უნდა იყოს სპეციალისტების თანამონაწილეობით და შეიცავდეს როგორც ტრადიციული (მეცხოველეობის, მეკარტოფილეობის, მაფუტკრეობის), ასევე ახალი პერსპექტიული (მეკენკრეობის, სალათის ფურცლების მოყვანის და ა. შ) მიმართულებების განვითარების გეგმასაც.